საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 20 მარტი, 2019 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04-01/67

ხელოვნების უნივერსიტეტის პირველი რექტორის
პროფესორ ლევან მირცხულავას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესიის პირველი მუხლის მე-8 პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს ხელოვნების უნივერსიტეტის პირველი რექტორის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ლევან მირცხულავას სახელობის საუნივერსიტეტო 1 (ერთი) სტიპენდია.
2. სტიპენდიის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარით.
3. სტიპენდიის დასაფინანსებელი თანხა გათვალისწინებულ იქნას უნივერსიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში.
4. გადაწყვეტილება ლ. მირცხულავას სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდის სიახლეებში და ეცნობოს ლ. მირცხულავას ოჯახს.

5. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

6. დადგენილება ძალაშია ხელომოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ჭიჭილეიშვილი**